

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N12 საცხოვრებელი სახლის N23 ბინაზე, მოქალაქეების ამირან და დარეჯანი ბიბილეიშვილებისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N12 საცხოვრებელი სახლის N23 ბინაში მცხოვრები მოქალაქეების ამირან და დარეჯანი ბიბილეიშვილების განცხადება /2012 წლის 20.08 Nბ-6752/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N12 საცხოვრებელი სახლის N23 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N12 საცხოვრებელი სახლის N23 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს ამირან და დარეჯანი ბიბილეიშვილებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N12 საცხოვრებელი სახლის N23 ბინაზე /საერთო ფართობი 46,18 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 26,11 კვ.მ, დამხმარე ფართობი 20,07 კვ.მ./ მოქალაქეების ამირან და დარეჯანი ბიბილეიშვილების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია